საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერენდორფერი ფრიდრიხ

ერენდორფერი (Ehrendorfer) ფრიდრიხ (დ. 26.VII.1927), ბიოლოგი, ბოტანიკოსი, მცენარეთა სისტემატიკოსი. საქართველოს ეროვნ. მეცნ. აკად. უცხოელი საპატიო წევრი (1996), ბულგარეთის მეცნ. აკად. წევრი, ავსტრიის მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი. ვენის უნ-ტში სწავლობდა ბიოლოგიას, ბოტანიკას, პალეონტოლოგიასა და ფილოსოფიას (1945–49). ვენის უნ-ტის ასოცირებული პროფესორი (1955–65), გრაცის უნ-ტის პროფესორი, ბოტან. სისტემატიკის ინ-ტის ხელმძღვანელი, ბოტან. ბაღის დირექტორი (გრაცი, 1965–70), ვენის უნ-ტის პროფესორი, ბოტან. ინ-ტის ხელმძღვანელი და ბოტან. ბაღის დირექტორი (1970–95). ე-ის სამეცნ. კვლევა მოიცავს მცენარეთა სინთეზურ სისტემატიკას (ციტოგენეტიკის, ევოლ. და ფილოგენეზის ურთიერთკავშირი). ე. 25 წელი ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ ჟურნალს „Plant Systematics and Evolution”. არის მრავალი სამეცნ. სტატიის, მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი.